„ილიაუნის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის ეფექტურობის კვლევა (2022 – 2024 წწ.) და შედარებითი ანალიზი 2019 – 2021 წლებთან“.

ნინო ბალოიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობა

კვლევის ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო მახაშვილი

თემის თანახელმძღვანელი: ანა პაპავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ბალოიანი

19.06.2025

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევის „ილიაუნის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის ეფექტურობის კვლევა (2022 – 2024 წწ.) და შედარებითი ანალიზი 2019 – 2021 წლებთან“ მიზანი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის ეფექტურობის შეფასება 2022 – 2024 წლებში და მიღებული შედეგების შედარებაა 2019 – 2021 წლებში ჩატარებული კვლევის მონაცემებთან. ასევე, კვლევის მიზანს წარმოადგენს ფსიქოლოგიური სერვისით სარგებლობის შედეგად მიღებული ცვლილებების, ბენეფიციარების ფსიქიკური ჯანმრთელობის დინამიკისა და მომსახურებაში არსებული ხარვეზების გამოვლენას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი შეიქმნა 2019 წელს და დღემდე ასეულობით სტუდენტს მოემსახურა. იგი დაკომპლექტებულია ამავე უნივერსიტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული კომპეტენტური ფსიქოლოგებით. ცენტრი ემსახურება სტუდენტებს, რომელთაც გააჩნიათ სხვადასხვა ფსიქო-ემოციური თუ ქცევითი სირთულეები.

კვლევა ეფუძნება რაოდენობრივი კვლევის დიზაინს, წარმოადგენს მეორეული მონაცემების ანალიზს და ეყრდნობა 252 სტუდენტის პრე- და პოსტ სკრინინგ კითხვარებს (PHQ-9, GAD-7, Fatalizm, psychlops და სხვა). მონაცემთა ანალიზი განხორციელდა SPSS 27 ვერსიით. გამოიყენებოდა დესკრიპტული სტატისტიკური ანალიზი, საშუალო არითმეტიკული და შედარებითი ანალიზი.

ფსიქოლოგიური კონსულტირების სერვისით მოსარგებლე სტუდენტთა უმრავლესობა პრე-ტესტირებისას აღნიშნავდა შფოთვას და მოუსვენრობას (94,4%), ემოციების დისრეგულაციას (84,7%), გუნება-განწყობის დაქვეითებას (80,6%), სირთულეებს ინტერპერსონალურ ურთიერთობებში (79,4%) და სხვა. პოსტ-ტესტირებისას სტუდენტთა უმრავლესობაში მნიშვნელოვნად გამოხატული იყო ფსიქიკური მდგომარეობა

გაუმჯობესებული. ასევე კვლევის შედეგად დადგინდა ცენტრის მიმართვიანობის გაზრდილი მაჩვენებელი, რაც სერვისის სანდოობას ადასტურებს.

ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობა, ზრუნვა და უფასო მომსახურების სერვისი უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორს თამაშობს სტუდენტების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვაში. აღნიშნული ცენტრი ფსიქიკური მხარდაჭერის ეფექტურ პლათფორმას წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა კეთილდღეობის, ფუნქციონირების და ემოციური მდგრადობის გაძლიერებას.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ფსიქოკონსულტირების ცენტრის მომსახურების დასახვეწად და ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ასევე, კვლევამ შესაძლოა ხელი შეუწყოს საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებს დანერგონ სტრატეგიული სტუდენტზე მორგებული სერვისები.

საძიებო სიტყვები: ფსიქიკური ჯანმრთელობა, საუნივერსიტეტო ფსიქოლოგიური კონსულტირება, სერვისის ეფექტურობა.

Abstract

The present study, "Effectiveness Study of Iliauni's Student Psychological Counseling Center (2022–2024) and Comparative Analysis with 2019–2021 Data," aims to evaluate the effectiveness of the Student Psychological Counseling Center at Ilia State University during the years 2022–2024 and to compare the results with data from the 2019–2021 period. The research also seeks to identify changes in clinical outcomes resulting from psychological counselling, the dynamics of beneficiaries' mental health status, and any service delivery gaps.

The Counselling Centre, established in 2019, has since served hundreds of students and is staffed by competent psychologists who are graduates of the university's Master's Program in Mental Health. The centre provides psychological support to students experiencing various psycho-emotional and behavioural difficulties.

This quantitative study analyses the secondary data, i.e. pre- and post-intervention screening data from 252 student service users. The assessment tools included PHQ-9, GAD-7, Fatalism scale, PSYCHLOPS, among others. Data were processed using SPSS Version 27, applying descriptive statistics, mean comparisons, and inferential analysis.

At pre-test, the majority of students reported symptoms such as anxiety and restlessness (94.4%), emotional dysregulation (84.7%), lowered mood (80.6%), and difficulties in interpersonal relationships (79.4%). Post-test results revealed significant improvements in mental health indicators among most participants. The increased number of students seeking help from the center further supports the reliability and growing effectiveness of the service.

Providing free, accessible mental health services plays a critical role in safeguarding students' psychological well-being. Ilia State University's Counseling Center serves as an effective support platform that enhances students' well-being, functioning, and emotional resilience.

The findings of this study are instrumental in refining the services provided by the Counseling Center and addressing identified gaps. Furthermore, the research may inform the development of student-centered psychological services at other universities across Georgia.

Keywords: mental health, psychological counseling, University psychological counseling center, service effectiveness.

მადლობა

მადლობას ვუხდი კვლევის ხელმძღვანელს ქ - ნ ნინო მახაშვილს და თანახელმძღვანელს ქ-ნ ანა პაპავას. ასევე, ილიაუნის ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის კონსულტანტებს აქტიური თანამშრომლობისთვის.